რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 18 ნოემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 38 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 38

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით " 2 მ.
ცალკე ნომერი " — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

### სახალხო კომისარების მთავრობა ზავს ანხორციელებს

ბრძანება უმაღლეს მთავარსარდლისადმი.

მუშების და სალდათების დეპუტატთა მთელი რუსეთის სიეზდის დავალებით სახალხო კომისარების საბჭომ აიღო თავის ხელთ ძალა უფლება და ვალდებული გახდა წინადადება მისცეს ყველა მეომარ ხალხებს და მათ მთავრობებს, რომ ყველა ფრონტებზე დამყარდეს დროებითი ზავი და დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ დამყარებულ იქნას ზავი დემოკრატიულ საფუძველზე. ახლა, როდესაც საბჭოების მთავრობა განმტკიცდა სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვან ადგილებში, სახალხო კომისარების საბჭოს აუცილებლათ მიაჩნია დაუყონებლივ მისცეს ფორმალური წინადადება დროებითი ზავის შესახებ ყველა მეომარ ქვეყნებს, როგორც მოკავშირეთ, აგრეთვე მათ, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ ომობენ. ამის შესაფერათ უცხო საქმეთა სახალხო კომისარმა დაუგზავნა უწყებები მოკავშირე ქვეყნების ყველა უფლება-მოსილ წარმომადგენლებს პეტროგრადში. თქვენ, მოქალაქევ,—უმაღლესო მთავარსარდალო, სახალხო კომისარების საბჭო გავალებთ მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოთა მთელი რუსეთის სიეზდის გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ ამ უწყების მიღებისთანავე მიმართოთ მოწინააღმდეგე ჯარების სამხედრო ძალის მატარებელ ორგანოებს წინადადებით დაუყონებლივ შეჩერებულ იქნას სამხედრო მოქმედება იმ მიზნით, რომ დაწყებულ იქნას სამშვიდობო მოლაპარაკება. გავალებთ რა თქვენ ამ წინასწარ მოლაპარაკების გამართვას, სახალხო კომისარების საბჭო გიბრძანებს თქვენ: 1) განუწყვეტლივ მოახსენოთ საბჭოს პირდაპირი მავთულით მოწინააღმდეგე ჯარების წარმომადგენლებთან თქვენი მოლაპარაკების მსვლელობაზე, 2) მოაწეროთ ხელი დროებითი ზავის აქტს მხოლოთ სახალხო კომისარების საბჭოს წინასწარი ნებართვით.

სახალხო კომისარების საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვ-ლენინი.

უცხო საქ. კომისარი ლ. ტროცკი.

სამხედრო საქ. კომისარი კრილენკო.

საბჭოს საქმეთა გამგე ვ. ბონჩ-ბრუევიჩი.

შემოწმა მდივანმა მ. გოლუბევამ.

7 ნოემბერი 1917 წ.

### ბატონ ელჩს საფრანგეთის რესპუბლიკისა.

ამით პატივი მაქვს გაუწყოთ, ბატონო ელჩო, რომ მუშათა და სალდათთა დეპუტატების მთელი რუსეთის სიეზდმა 26 ოქტომბერს შეადგინა რუსეთის რესპუბლიკის ახალი მთავრობა, სახალხო კომისარების საბჭოს სახით. ამ საბჭოს თავმჯდომარეა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა მონდობილი მაქვს მე, როგორც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს.

მივაქცევ რა თქვენ ყურადღებას მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოთა მთელი რუსეთის სიეზდის მიერ მოწონებულ ტექსტს შესახებ დროებითი ზავისა და უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ ხალხთა თვით-გამორკვევის საფუძველზე დამყარებულ დემოკრატიული ზავისა, მაქვს პატივი გთხოვთ, რომ დოკუმენტი გასინჯოთ, როგორც ფორმალური წინადადება დაუყოვნებლივი სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებისა,— წინადადება, რომლითაც რუსეთის რესპუბლიკის უფლება - მოსილი მთავრობა მიმართავს მთავრობებს.

მიიღეთ რწმენა, ბატონო ელჩო, ღრმა პატივისცემისა, რომელსაც გრძნობს საბჭოების მთავრობა საფრანგეთის ხალხისადმი, რომელიც არ შეიძლება არ მიესწრაფებოდეს ზავისადმი ისე, როგორც ყველა სხვა ხალხები, განადგურებულნი და სისხლიდან დაწრეტილნი ამ უმაგალითო სისხლის ღვრით.

უცხო საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ტროცკი.

### ჩვენი გამარჯვება.

თფილისში დასრულდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, სადაც ბრწყინვალე გამარჯვება გვხვდა ჩვენ, ბოლშევიკებს. შედარებით სამი თვის წინათ მომხდარ ქალაქის საბჭოს არჩევნებთან ჩვენი არჩევნების რიცხვმა იმატა ოთხჯერ. ჩვენს გარდა ამრჩეველთა მომატება ეტყობა მხოლოთ კადეტებს, მაგრამ შედარებით სუსტი: მათმა ხმებმა მხოლოთ ორჯერ მოიმატა. ათასობით დაიკლო მენშევიკ ესერების ამრჩევლებმა. სხვა პარტიების ძალებში მოხდა მხოლოთ უმნიშვნელო ცვლილებები.

ამ არჩევნებმა ცხადყვეს ის, რაც ხდება ცხოვრებაში. წვრილ ბურჟუაზიული შეთანხმების პარტიები უკანა რიგზე ჩამოდგენ. აშკარა შეტაკება სწარმოებს გადაჭრილ რევოლიუციონერებსა და გადაჭრილ კონტრ-რევოლიუციონერებს შუა. ქვეყანა ირაზმება ორი პარტიის— ბოლშევიკების და კადეტების გარშემო. მიუხედავათ იმისა, რომ კადეტები მთელ თავის ძალას ფეხზე აყენებენ, მათი შედარებაც კი არ შეიძლება ბოლშევიკებთან ძალთა განწყობილების ძარით. ბოლშევიკების ძალები დღითი დღე იზრდებიან და ეს პროცესი ძალთა ზრდისა და მობილიზაციისა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ჩვენ გავიმარჯვეთ. და ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ჩვენი ლოზუნგები ხიბლავდა ხალხს. ჩვენი ლოზუნგები — ზავის მიწის და თავისუფლების — გადაიღეს სხვა პარტიებმაც, ისინი გადიღეს მენშევიკებმაც და ვინ იცის, იქნება ბევრი გულუბრყვილო ამომრჩეველი სწორეთ ამის გამო გააბეს თავის მახეში. ცარიელი სიტყვების და ლოზუნგების ხანა ჩაბარდა ისტორიას ხალხის დიდი უმრავლესობისთვის. ჯერი მიდგა საქმეზე, ლოზუნგების განხორციელებაზე და აი სწორეთ ამ მხრივ ჩვენი პარტია ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

თავისუფლების ლოზუნგი ჩვენმა პარტიამ უკვე სინამდვილეთ აქცია. ის გაუძღვა რევოლიუციონურ ხალხს და დაამხო კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა; მან მოსპო კერენსკის მიერ აღდგენილი სიკვდილით სასჯელი სალდათებისთვის. მანვე უზრუნველყო დამფუძნებელი კრების მოწვევა.

ზავის ლოზუნგი თავის განხორციელებას უახლოვდება. სწორეთ ჩვენმა პარტიამ დასცა სასიკვდილო ლახვარი ომს და გადადგა რევოლიუციონური ნაბიჯი ზავის მოსაახლოვებლათ. მან მისცა წინადადება მეომარ ქვეყნებს ზავზე მოსალაპარაკებლათ და შორს არ არის ის დრო, როცა მიუხედავათ შინაურ და გარეშე იმპერიალისტების ღონის ძიებათა, დამყარდება დროებითი ზავი, რომელსაც მოყვება სამართლიანი დემოკრატიული ზავის ჩამოგდება.

მიწის შესახებაც ჩვენმა პარტიამ უკან მიატოვა ყველა პარტიები, რომლებიც სიტყვით მიწას პირდებოდენ ხალხს, საქმით კი კაპიტალისტებს და მემამულეებს ამაგრებდენ. ჩვენი პარტიის წევრთაგან შემდგარმა ახალმა მთავრობამ ერთი დაკვრით მოსპო მემამულეთა კლასის ეკონომიური საფუძველი, — მათი კერძო საკუთრება მიწაზე და ის მთელი ხალხის კუთვნილებათ გადააქცია.

ჩვენი პარტია შეუბრალებლათ ებრძვის ბურჟუაზიას, თავგანწირულათ იცავს ხალხის ინტერესებს და ყველა ამას ის სჩადის არა სიტყვით, არამედ საქმით.

აი რისთვის გაძლიერდა ჩვენი გავლენა, აი რისთვის გვარგუნა ხალხმა ჩვენ გამარჯვება.

ხალხი აშკარათ დადგა რევოლიუციის მხარეს, ხალხი აშკარათ ირაზმება ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მან ამ არჩევნებში

# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას

## მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

## გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა მმობას!

ცხადყო თავისი სულისკვეთება. ის სულით და გულით თანაუგრძნობს რუსეთის რევოლიუციას და გადაჭრით დგება მის რაზმში.

თავისი თანაგრძნობა რუსეთის ძლევამოსილ რევოლიუციისადმი მან გამოხატა მით, რომ ამ არჩევნებში ჩვენს პარტიას არგუნა გამარჯვება. კენჭის ყრით არ თავდება ეს აქტი. ეს ხალხი იარაღით ხელში თავგანწირულათ დაიცავს ჩვენს ლოზუნგებს, ჩვენს პროგრამას, დაიცავს რუსეთის რევოლიუციას.

რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებამ მოგვანიჭა ჩვენ გამარჯვება ამ არჩევნებში. ჩვენი გამარჯვება რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებაა.

---

## რუსეთის სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკების) მუშათა პარტიის ცენტრ. კომიტეტისაგან.

### პარტიის ყველა წევრებისა და ყველა მშრომელ კლასებისადმი.

ამხანაგებო! ყველამ იცის, რომ სრულიათ რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოთა მეორე სიეზდზე უმრავლესობას ბოლშევიკების პარტიის დელეგატები შეადგენდენ.

ეს ძირითადი ფაქტია, რომლის თანახმათ შეიძლება მხოლოთ გავიგოთ და ავხსნათ დღევანდელი რევოლიუცია, რომელმაც პეტროგრადში და მოსკოვში უკვე გაიმარჯვა და ახლა ლამობს მთელ რუსეთის სივრცეზედაც გაიმარჯვოს. სწორეთ ამ ფაქტს ივიწყებენ და გვერდს უვლიან კაპიტალისტების ყველა მომხრეები და უნებური მათი ხელის შემწყობნი, რომელნიც ძირს უთხრიან ახალი რევოლიუციის საძირკველს, საბოლოოდ ლოზუნგს: მთელი ძალა-უფლება საბჭოებს. გარდა საბჭოების მთავრობისა რუსეთში სხვაგვარ მთავრობას ადგილი აღარა აქვს. რუსეთში ძალა-უფლება უკვე საბჭოების ხელთ არის და მთავრობის შედგენაში საბჭოების ერთ-ერთ პარტიის წარმომადგენელთაგან არავითარ რევოლიუციის მოხდენას არ საჭიროებს: მართვა-გამგეობის გადასვლა ერთი პარტიის ხელიდან მეორე პარტიის ხელში შესაძლებელია მარტო საბჭოების დეპუტატთა ხელ-ახლათ არჩევით და ამ საბჭოების სიეზდის უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით. სრულიათ რუსეთის საბჭოთა სიეზდის უმრავლესობა ბოლშევიკებმა მოგვცეს; ამიტომ მხოლოთ ამ პარტიისგან შემდგარი მთავრობა ჩაითვლება საბჭოების მთავრობათ. და ყველამ იცის, რომ ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სულ რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე საბჭოთა მეორე სიეზდი მთავრობას შეადგენდა და ვიდრე ბოლშევიკები თავის სიას სიეზდს წარუდგენდენ, თავის სხდომაზე მემარცხენე ესერების ჯგუფის სამი გამოჩენილი წარმომადგენელი მოიწვია: ამხ. კამკოვი, სპირო და კარელინი, რომლებსაც წინადადება მისცა მთავრობაში შესულიყვნენ. ჩვენ დიდათ ვწუხვართ, რომ ამხ. მემარცხენე ესერებმა ამაზე უარი თქვეს: ჩვენ ეს დიდ შეცდომათ მიგვაჩნია რევოლიუციონერის და მშრომელი ხალხის მომხრეს მხრით, ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ მემარცხენე ესერები მთავრობის წრეში შევიყვანოთ, მაგრამ ვაცხადებთ, რომ, როგორც პარტიას საბჭოთა მეორე სიეზდის უმრავლესობისას, სრული უფლება გვაქვს და ვალდებულნიცა ვართ ხალხის წინაშე, მთავრობა ჩვენ შევადგინოთ.

ყველამ იცის, რომ საბჭოთა მეორე სიეზდს ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წარუდგინა სია სახალხო კომისარების კანდიდატებისა წმინდა ბოლშევიკური და სიეზდმაც ეს წმინდა ბოლშევიკური მთავრობის სია მოიწონა.

ამნაირათ მტკნარი სიცრუეა და სრულიათ უსაფუძვლოა ყველა ის მატყუარა განცხადებანი, თითქო ახლანდელი ბოლშევიკური მთავრობა საბჭოთა სიეზდის უმრავლესობის მთავრობა არ იყოს, და ასეთი განცხადება მხოლოთ ხალხის მტრებს, მხოლოთ საბჭოთა ძალა-უფლების უარმყოფელს შეუძლია წარმოადგინოს. ნამდვილათ კი დღეს საბჭოთა მეორე სიეზდის შემდეგ მხოლოთ ბოლშევიკური მთავრობა შეიძლება საბჭოთა მთავრობათ ვცნოთ, და ეს მანამდე იქნება, ვიდრე ან საბჭოთა მესამე სიეზდი არ შედგება, ან საბჭოთა დეპუტატების ხელახალი არჩევნები არ მოხდება ანდა ვიდრე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ახალ მთავრობას არ შეადგენს.

* * *

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტიდან რამდენიმე წევრი კომიტეტისა და რამდენიმე ხალხის კომისართა საბჭოსი, კამენევი, ზინოვიევი, ნოგინი, რიკოვი, მილიუტინი და რამდენიმე სხვა გავიდენ; 4 ნოემბერს ამათგან სამი უკანასკნელი სახალხო კომისართა საბჭოდანაც გავიდა. ისეთ დიდ პარტიაში, მიუხედავათ იმისა, რომ იგი პროლეტარულ რევოლიუციონურ პოლიტიკას წარმოებს, არ შეიძლებოდა არ აღმოჩენილიყვნენ ცალკე ისეთი ამხანაგები, რომელთაც ხალხის მტრებთან ბრძოლაში სიმტკიცე და გაბედულება აკლიათ. ჩვენი პარტიის ახლანდელი მიზან-დანიშნულება ფრიად დიდია და განუზომელი, მეტათ ძნელია და უსაზღვრო—და რამდენიმე წევრი, რომლებსაც მეტათ პასუხსაგები როლი ჰქონდათ დაკავებული, შედრკა ბურჟუაზიის შემოტევის წინაშე და ჩვენი რაზმიდან გაიქცა. ამით მთელი ბურჟუაზია და ყველა მისი დამქაშნი უზომოთ გახარებულია, ზარსა და ზეიმს ცემენ, ნიშანს გვიგებენ და ჩვენს დაშლა-დაქსაქსვაზე ყვირიან, ბოლშევიკურ მთავრობის დაღუპვას წინასწარმეტყველობენ.

ამხანაგებო! არ დაიჯეროთ ეს სიცრუე. გასული ამხანაგები მოიქცნენ, როგორც დეზერტირები: მათ არა მარტო დატოვეს მათდამი რწმუნებული, საპასუხისმგებლო ადგილები, არამედ გადალახეს კიდეც ჩვენი პარტიის ცენტრ. კომიტეტის პირდაპირი დადგენილება იმაზე, რომ დაეცადათ მანამ, ვიდრე ამ საკითხზე პეტროგრადის და მოსკოვის პარტიული ორგანიზაციები თავის მსჯავრს გამოიტანდენ. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ მათ დეზერტირობას. ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ყველა შეგნებული მუშები, სალდათები და გლეხები, რომლებიც კი ჩვენს პარტიაში შედიან ან თანაუგრძნობენ მას, ისევე გადაჭრით დაგმობენ ზემოთ დასახელებულ დეზერტირების საქციელს.

მაგრამ ჩვენ განვაცხადეთ, რომ პარტიის ზედა პირის რამდენიმე წარმომადგენლის დეზერტირობა ერთი წამითაც იოტის ოდნავ ვერ შეარყევს მასის ერთობას, იმ მასისას, რომელიც ჩვენს პარტიას მიჰყვება და მაშასადამე ვერც პარტიას შეარყევს იგი.

მოიგონეთ, ამხანაგებო, რომ ორი ამ დეზერტირთაგანი, კამენევი და ზინოვიევი, პეტროგრადში აჯანყების დაწყების წინა დღეებში გამოვიდა, როგორც დეზერტირი და როგორც შტრეიკბრეხერი, ვინაიდან მათ, არა თუ მარტო წინააღმდეგ მისცეს ხმა ცენტრ. კომიტეტის გადამწყვეტ სხდომაზე 1917 წ. 10 ოქტომბერს აჯანყების საკითხში, არამედ ცენტრ. კომიტეტის დადგენილების შემდეგაც პარტიულ მუშაკთა შორის აგიტაცია გახსნეს აჯანყების წინააღმდეგ. ყველამ იცის, რომ მაშინ გაზეთები, რომლებიც შიშობენ გადაჭრით დადგენ მუშების მხარეზე და უფრო ბურჟუაზიისაკენ იცქირებიან, მაგალითათ როგორიც არის „ნოვაია ჟიზნი", აყაყანდენ და მთელ ბურჟუაზიულ პრესასთან ერთათ დაიწყეს ყვირილი ჩვენი პარტიის „დაშლა დაღლევაზე" აჯანყების ჩაშლაზე და სხვა. მაგრამ ცხოვრებამ მალე გამოაჩინა როგორც სიცრუე და ცილისწამება მეორეთა, ისე რყევა, ეჭვიანობა და სიმხდალე პირველთა. „ქარიშხალი", რომლის აღძვრა მათ მოიწადინეს კამენევისა და ზინოვიევის მიერ გადადგმულ ნაბიჯების გამო, მხოლოთ ერთი ჭიქა წყლის ღელვა გამოდგა, და მასის დიადმა, აღტყინებამ, მილიონ მუშების, სალდათების და გლეხების გმირობამ როგორც პეტროგრადსა და მოსკოვში, ისე სოფლებშიაც დეზერტირები შორს გადისროლა, ვით რკინის გზის გაქანებული მატარებელი ნაფოტებს გაისვრის ხოლმე.

დე, რცხვენოდეს ყველა სულ მოკლეთ და მცირეთ მორწმუნეთ, ყველა ეჭვში მყოფთ, რომელთაც თავის თავს ნება მისცეს და ბურჟუაზიის წინაშე შედრკენ, შეშინდენ, ანდა უნებურათ დაექვემდებარენ იმავე ბურჟუაზიის ნიბით და უნებლიეთ დამხმარეთა ხმებს. ოდნავ ეჭვიანობა და რყევა არ დამჩნევია არც პეტროგრადის და არც მოსკოვის მუშათა და სალდათთა მასას. ჩვენი პარტიაც მტკიცეთ და შეუდრკათ დგას, როგორც მცველი და ბუშაგი საბჭოთა ძალა—უფლებისა, როგორც დამცველი უწინარეს ყოვლისა მუშათა და ღარიბ გლეხთა ინტერესებისა! მთელი ხროვა ბურჟუაზიულ მწერლებისა და იმ ადამიანებისა, რომელნიც ბურჟუაზიულს შიშ ქვეშ იმყოფებიან, გვამტყუნებს ჩვენ იმაში, რომ ჩვენ დათმობა არ ვიცით, მიუკარებელნი და შეურიგებელნი ვართ, რომ ჩვენ არ გვინდა ძალა—უფლება სხვა პარტიასაც გაუნაწილოთ. ეს არაა მართალი, ამხანაგებო! ჩვენ წინადადება მივეცით და ახლაც წინადადებას ვაძლევთ მემარცხენე ესერებს გაინაწილონ ჩვენთან ერთათ ეს ძალა-უფლება. ჩვენი ბრალი არ არის, თუ ისინი ამას უარყოფენ. ჩვენ საბჭოთა მეორე სიეზდის დაშლის შემდეგაც განვაგრძეთ ამაზე მოლაპარაკება და ამ მოლაპარაკების დროს წავედით ყოველგვარი დათმობისაკენ, პირობით პეტროგრადის საქალაქო საბჭოს ერთი ნაწილის წარმომადგენლების შემოყვანაზე დაც კი დავთანხმდით, თუმცა საქალაქო საბჭო კორნილოვის მომხრეთა ბუდეთ მიგვაჩნია და რომელიც პირველი ... თხოვნისთანავე აღგვილი იქნება დედამიწის პირიდან, თუ კიდევ საძაგელი კორნილოვის მომხრეები—კაპიტალისტები და მემამულეების შვილები—იუნკრები ურჩობას გაუწევენ ხალხის ნებას ... ვილს, როგორც ეს მათ სცადეს წარსულ კვირას (29 ოქტომბერს) პეტროგრადში და როგორც ეს მათ ახლაც სწადიათ რაც პურიშკევიჩის შეთქმულობის აღმოჩენამ და მისი დატუსაღების დროს, ... ნოემბერს, მის ბინაზე ნაპოვნმა ქაღალდებმა გამოარკვია. მაგრამ ჩვენი ასეთ დათმობისაკენ წასვლა იმათ, ვინც ესერების ზურგს უკან ეფარებიან და ბურჟუაზიას ამაგრებენ, ჩვენი სისუსტეთ ჩათვალეს და ახალი ულტიმატუმების წამოსაყენებლათ გამოიყენეს. 3 ნოემბერს თათბირზე გამოცხადდენ ბ. მ. აბრამოვიჩი და მარტოვი ულტიმატუმი წამოგვიყენეს: არავითარ მოლაპარაკებას არ გამართავენ ჩვენთან მანამდე, ვიდრე ჩვენი მთავრობა დატუსაღებას და ბურჟუაზიული პრესის დახურვას არ შესწყვეტს.

ჩვენმა პარტიამაც და საბჭოთა მეორე სიეზდის ცენტრ. აღმ სრულებელმა კომიტეტმა ამაზე უარი უთხრა მათ, ვინაიდან ასეთი ულტიმატუმი გამომდინარეობს მხოლოდ კალედინის, ბურჟუაზიის, კერენსკი და კორნილოვის მომხრეთაგან. პურიშკევიჩის შეთქმულობამ და 5 ნოემბრის მე 17 კორპუსის ერთი ნაწილი დელეგაციის პეტროგრადში მოსვლამ, რომელიც პეტროგრადზე გამოლაშქრებით გვემუქრებოდა, რა თქმა უნდა, სასაცილოა, ვინაიდან ამ კორპუსის უმეტესი ნაწილი გატჩინოსთან ბრძოლაში სასტიკათ დამარცხდნენ და უკუ იქცენ, ხოლო ზოგმა ნაწილმა საბჭოთა წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი აიღო); ყველა ეს ამბები იმას გვეუბნებოდა და გვიმტკიცებდა, თუ ნამდვილათ საიდან გამოდიოდა ის ულტიმატუმი, რომელიც ჩვენ ბ.ბ აბრამოვიჩმა და მარტოვმა წამოგვიყენა და საქმით ვის ემსახურებიან ეს ვაჟბატონები.

დე, იყვნენ მტკიცეთ და შეუდრეკელათ ყველა მშრომელნი! ჩვენი პარტია საბჭოთა უმცირესობის ულტიმატუმებს არასოდეს არ დაუთმობს, იმ უმცირესობის, რომელიც ბურჟუაზიისგან მონაბერ შიშს დაექვემდებარა და დღეს თავისდაუნებურათ, წინააღმდეგ მისი „კეთილი განზრახვებისა" მხოლოდ კორნილოვის მომხრეთა ხელში ტიკინათ და მასხარად გამოდის.

ჩვენ საბჭოთა ძალა-უფლების პრინციპზე მტკიცეთა ვდგევართ, ე. ი. უმრავლესობის ძალა-უფლებას ვცნობთ, რომელიც საბჭოთა მეორე სიეზდზე შედგა და ჩვენ თანახმა ვიყავით მაშინ და ახლაც თანახმა ვართ ძალა-უფლება გაუზიაროთ საბჭოთა უმცირესობას იმ პირობით, რომ იგი პატიოსნათ და ლოიალურათ შეასრულებს თავის მოვა-

ობას. დაემორჩილება უმრავლესობას და პატიოსნათ გაატარებს იმ პროგრამას, რომელიც მოიწონა საბჭოთა მეორე ყრილობამ და რომელიც სოციალიზმისკენ მიმავალ მკიცე და შეურყეველ ნაბიჯებს წარმოადგენს. ინტელიგენტურ ჯგუფების არავითარ ულტიმატუმებს კი, რომელიც მხარს არ უჭერენ მასსები, რამედ ემხრობიან მხოლოდ კორნილოვის და სავინკოვის თანამგრძნობნი და იუნკრები და სხვ., ყოველთვის უკუ ვაგდებთ.

დღეს, იმედიანათ და მტკიცეთ იყვნენ მშრომელნი! ჩვენი პარტია, პარტია საბჭოთა უმრავლესობისა, როგორც ერთი კაცი, მტკიცე და შეურყეველ რაზმათ დგას, როგორც მცველი მათი ინტერესებისა. ჩვენს პარტიას წინადღეურათ მიყვება მილიონობით მუშა ქალაქათ, ჯარის-კაცნი სანგრებში, გლეხობა სოფლად, რომელნიც ყოველ ჟამს მზათ არიან, რათაც უნდა დაუჯდეთ, განახორციელონ საქმე ზავის და გზა გაუხსნან სოციალიზმს.

* * *

უკანასკნელი ცნობების თანახმათ ზინოვიევი უკვე დაბრუნდა ცენტრალურ კომიტეტში და ის მოუწოდებს სხვა ამხანაგებსაც დაუბრუნდენ თავის პოსტებს ამ მეტათ საპასუხისმგებლო მომენტში, როდესაც წყდება რევოლუციის ბედიღბალი.

## „ერთობას“ უკვირს.

რამდენათაც ცხოვრება წინ მიდის და მისი ეკონომიური მხარე იცვლება, იმდენათ ცვლილებას განიცდის პოლიტიკური და იურიდიული „ზედნაშენები“, იმდენათ სხვავდება ხალხის ფსიხოლოგია.

დიდებულ ცხრაას ჩვიდმეტი წლის რევოლუციამდე რუსეთში იყო სულ სხვა ეკონომიური პირობები.

ორი შეიარაღებული მოწინავე ქვეყნების კაპიტალები ერთის მხრით გერმანიისა და მეორეს მხრით ინგლისისა დაეჯახენ ერთი მეორეს.

ისინი ვერ მორიგდენ ქვეყნის განაწილების საკითხში. იმათ აყვენ სხვა სახელმწიფოებიც ამ შეჯახებას მოყვა შედეგათ ისეთი ხანა, როგორიც ისტორიამ არ იცის.

საერთო არევ-დარევა აღებ-მიცემობაში, აუწერელი სასურსათო კრიზისი, საზოგადოების ერთი ნაწილის შიმშილი და წყურვილი და მეორის გამდიდრება—აი რა მოყვა შედეგათ ამ საზიზღარ ომს, რომელიც მეოთხე წელიწადია წარმოებს მოღალატე სოციალისტების შემწეობით და რომელიც არის პირდაპირი შედეგი კაპიტალიზმის განვითარების ევროპაში.

ეს იმას ამტკიცებს, რომ დღევ ნდელი ცხოვრების პირობები არ შეიძლება შევადაროთ იმ პირობებს, რომელნიც ბატონობდენ ომის დაწყებამდი.

თუ ეხლა სულ სხვა პირობებია რუსეთში ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, თავის თავათ ცხადია. ხალხის შეხედულებაც სხვა და სხვა მოვლენებზე სულ სხვა ნაირი უნდა იყოს.

რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის დაფასება დამოკიდებულია სწორეთ იმაზედ, თუ რამდენათ ესა თუ ის მოღვაწე ანგარიშს უწევს იმ ცვლილებებს, რომელნიც ხდება ცხოვრებაში.

თუ რომელიმე მოწინავე შეგნებული პირი საზოგადოების მოთხოვნილებას და მის წინსვლას აფერხებს, თავის მოქმედებებს არ უკავშირებს ამცვლილებებს, ამ შემთხვევაში ეს პირი, თუ გინდ დიდათ დამსახურებული იყოს ხალხის თვალში, კარგავს მნიშვნელობას და გადადის უბრალო და უმოქმედო მეშჩანურ ბანაკში.

სწორეთ ასეთია იმ „მოწინავე“ პირების მდგომარეობა, რომელნიც არიან ჩამომწკრივებული მენშევიკების სიაში № 1.

აქ გასაკვირალი არაფერია. რუსეთში იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. იმ თავიდან ერთნაირ როლს თამაშობდენ წვრილი ბურჟუაზიის სულის ჩამდგმელი წერეთლები, სკობოლევები, ჩერნოვები, კერენსკები და სხვები, მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთათ: მილიუკოვებთან, შინგარიოვებთან და გუჩკოვებთან.

ამ დროს კერენსკიც რევოლიუციონერი იყო წერეთელთან ერთათ იმდენათ, რამდენათაც მას არ სურდა ნიკოლოზის ბატონობა.

მაგრამ რუსეთის ეკონომიური ცხოვრება იმდენათ აწეწილ-დაწეწილი იყო, ხალხი იმდენათ განადგურდა იმპერიალისტური ომის წყალობით, რომ ყოვლათ უძლური გამოდგენ წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები დაეკმაყოფილებია გაყვლეფილი ხალხი.

რევოლუციის გაღრმავების პროცესში გამოირკვა, რომ ხალხის დაკმაყოფილება პოლიტიკური თავისუფლების ფსიხოლოგიით ყოვლათ შეუძლებელია.

ბრმამაც კი დაინახა, რომ არსებულმა ეკონომიურმა ორგანიზაციამ მოჭამა თავისი დრო, მან გამოიწვია ქვეყნის უბედურება—ომი და მანვე დაბადა ის კლასი, გალატაკებული გლეხები და მუშები, რომელთაც შეუძლია არსებული პირობებში რადიკალურათ შესცვალოს არა თუ პოლიტიკური, არამედ ეკონომიური წესებიც, ვინაიდან უამისოთ ცხოვრების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოუდგენია. მიიღეს ეს გარემოება მხედველობაში მენშევიკების ღმერთებმა თუ არა?

გამოდგენ ისინი ამ მხრით ღარიბი ხალხის ინტერესების დამცველი თუ არა?

საჭიროა აქ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმ უტყუარ ფაქტებს, რომ არც ერთს მათგანს, რომელთაც ასე აღმერთებენ მენშევიკები, არ ქონიათ მხედველობაში დღევანდელი აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა მუშების და გლეხ-კაცობის, ვინაიდან ისინი იმ თავიდგან მიმდინარე რევოლუციაში ზრუნავდენ ბურჟუაზიასთან ერთათ მარტო პოლიტიკურ პირობებზე და არა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებაზე.

ამან გამოიწვია მეორე რევოლუცია, მეორე ხანა რუსეთის რევოლუციაში.

გაშავდენ ჩვენი მენშევიკების ღმერთები, რომელნიც ქვეყნის მტრებთან ერთათ ატყუებდენ ხალხს, ჩამოშორდენ ნამდვილ რევოლუციონერებს, ჩამორჩენ ცხოვრებას და ამიტომ ისინი ჩაბარდენ ისტორიას.

რა უყოთ. რომ რევოლუციას არ უყვარს პიროვნებების ზებრალება!

ამის შემდეგ ჩვენ ვერ გაგვიგია, რატომ უკვირს ერთობის მარქსისტებს ის გარემოება, რომ ჩვენ სიმართლეს ვამბობთ მათი ბელადების შესახებ.

„ერთობის“ № 196-ში ისინი სწერენ „ჩვენი კანდიდატების მოღვაწეობას გრძელი და საპატიო ისტორია აქვს და მათი სახელოვანი მოქმედება ისტორიის ფურცლებზე ერთ საუკეთესო ნაწილს შე დგენს“.

ჩვენც კარგათ გვესმის ბატონებო ერთობის „მარქსისტებს“, რომ გუჩკოვის და მილიუკოვის მოქმედება ისტორიის ფურცლებზე იქნება აწერილი უეჭველათ და ის ისტორიკი, რომელიც იმპერიალისტების მოქმედებების აღწერას შეუდგება, გვერდს ვერ აუვლის სოციალიზმის მოღალატეებს, რომელთანაც ისინი ერთათ ზრუნავდენ ხალხის მოტყუებაზე.

ეს ნუ გაგიკვირდებათ თქვენ, რადგანაც ობორონცები და იმპერიალისტები იმდენათ გადაბმულ-გადახლართულია ერთი მეორეზე, რომ ყოვლათ შეუძლებელია, ისტორიკოსი შეეხოს ერთის მოქმედების და მეორე დასტოვოს უყურადღებოთ.

ვიტყვით სიმართლეს ბოლომდის! ომი სურდა მილიუკოვებს წერეთელი ხელს უწყობდა; ომის საწარმოებლათ და გასაგრძელებლათ ფული უნდოდა იმპერიალისტებს—წერეთელი სესხს მხარს უჭერდა. ბურჟუაზია შეტევაზე გადადიოდა, წერეთელი მათ ამ მხრივ წინაც ასწრობდა. ამიტომ ჩვენ აშკარათ ვამბობთ: წერეთლის ბელადობის დრო მუშათა წრეებში ისტორიას ჩაბარდა, მან ზურგი შეაქცია პროლეტარიატს, ამიტომ ნუ მისცემთ ხმას იმ სიას, რომელშიაც არის მოთავსებული წერეთელი.

განა თქვენთვის ეს გასაკვირალი ამბავია?

ობორონცებმა უღალატეს სოციალიზმს, უღალატებს ინტერნაციონალს. ვამბობთ ჩვენ, და წერეთელი, როგორც მოწინავე ობორონეცი, მოწინავე მოღალატე გამოდგა მუშებისა ამ რევოლიუციაში.

თუ მართლაც უბრალო აღმერთებაზე არა საქმე გაქვთ დაგვისახელეთ რა მისცა ხალხს იმ ბურჟუაზიულმა მთავრობამ რომელშიაც შედიოდენ თქვენი ღმერთი წერეთელი?

გაჩუმდეთ უკეთესია!

ბოლშევიკებს ბევრი ეთქმის პროლეტარიატის მოღალატეების საწინააღმდეგოთ.

იმავე „ერთობის“ ნომერში ჩვენი სიის შესახებ ბატონი „მარქსისტები“ ათას გვარ ჭორებს ახვევენ თავზე ჩვენს კანდიდატებს, რომელნიც არიან პირველ რიგში მოთავსებული; დანარჩენი კანდიდატების შესახებ ისინი სწერენ. „რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, მათ მხოლოთ თავიანთ ოჯახის წევრები იცნობენ და მუშათა კლასისათვის არაფერი გაუკეთებიათ:—ერთი რამ შეიძლება ითქვას ბატონებო: თქვენ რასაკვირველია მუშები უფრო კარგათ გიცნობენ, როგორც სოციალიზმის მოღალატეებს, ვიდრე ჩვენ.

რევოლიუციის თავი და თავი დამახასიათებელ თვისებას ის წარმოადგენს, რომ უცნობნი ხდებიან ცნობილათ, ძველი ბელადები ბარდებიან ისტორიას და სხვა ასეთები. განა საფრანგეთის რევოლიუციის დროს არ იჩინეს თავი ქვეყნის უცნობებმა: ლაქიებმა, უბრალო ხელოსნებმა და სხვ.

ეს მარქსისტებს არ უნდა უკვირდეს. ეს არ უკვირს თვით ცხოვრებას, ეს უკვირს მხოლოთ ერთობის „მარქსისტებს“.

**ბურიატი.**

## რევოლიუციური დღეები მოსკოვში.

(გაზ. „პრავდიდან“)

მოსკოვის ამბები რამდენიმეთ მოულოდნელათ დაგვატყდა თავს. ჩვენმა მოსკოველმა დიპლომატებმა ნაგინმა, რიკოვმა და სხვება 26—27 ოქტომბერს ჯარების უფროსთან, რიაბცოვთან და ქალაქის თავთან, რუდნევთან მოლაპარაკება გამართეს და დარწმუნებულნი იყვენ, რომ მოსკოვში შეიარაღებული შეტაკება არ მოხდებოდა. რიაბცოვი არწმუნებდა მათ, რომ მას არ შეუძლია საბჭოების წინააღმდეგ წავიდეს და სხ.. და ამ დროს კი ისინი თურმე მზადებაში იყვენ. 27-ს საღამოს მოსკოვის სამხედრო-რევოლიუციურმა კომიტეტმა ულტიმატუმი მიიღო,—15 წუთის განმავლობაში დაიშალეთო... ცხადია. სამხედრო-რევოლიუციური კომიტეტი ამაზე ვერ დათანხმდებოდა და სამხედრო მოქმედება, აჯანყება იმ წამიდანვე დაიწყო.

კრემლი, არსენალი (რომელიც იქვე კრემლშია მოთავსებული) ჩვენ ხელთ იყო. და პირველი იერიში სწორეთ მასზე მიიტანეს კონტრ-რევოლიუციონერებმა ამ სტრიქონების დამწერს სალდათებმა გადმომცეს, რომ ბრძოლის დაწყების წინა წუთებში კრემლთან მივიდა ერთი ოფიცერი, რომელმაც იქ მდგომ რევოლიუციურ ჯარის ნაწილებს სრული გამარჯვება მიულოცა და ახარა, რომ მთელი ძალა უფლება საბჭოებს გადაეცა, და შეტაკება თავიდან აშორებულიაო. თქვენ ახლა ყაზარმებში შეგიძლიათ დაბრუნდეთო, უთხრა სალდათებს ოფიცერმა და სალდათებმაც დაუჯერეს მას და კრემლს გაშორდენ. ხოლო მათ ადგილზე იმავე აფიცრის განკარგულებით იუნკრებმა მოიყარეს თავი. შენიშნეს ეს სალდათებმა, თუ არა ისევ უკან დაბრუნება მოინდომეს, მარა გვიანღა იყო. დაიწყო ხელჩართული ომი იუნკრებსა და მათ შორის და ეს განთიადისას დასრულდა იუნკრების გამარჯვებით: კრემლი მათ ხელში გადავიდა. ბრძოლა საშინლათ გამწვავდა და როგორც იცით თითქმის ერთი კვირა გაგრძელდა. პირველ ორ დღეში თავს გვესხმოდენ იუნკრები, ხოლო ჩვენ თავს ვიცავდით; მხოლოთ მესამე თუ მეოთხე დღეს ჩვენ დავიწყეთ შეტევა. იუნკრები საუცხოვოთ იყვენ დაწყობილდარაზმულნი და თან გაწვრთნილნი სამხედრო მოქმედებაში და სწორეთ ამ თვისებების წყალობით ისინი გვჯობნიდენ. ისინი წინასწარ კარგათ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდენ. ჩვენ კი ასეთი რამ არ მოგვეძებოდა. ჩვენი ძალა და ორგანიზაცია მხოლოთ ბრძოლის პროცესში იზრდებოდა და იწრთვნებოდა. წითელ გვარდიელები თავს მხოლოთ თავისი თავგანწირულებით და სიმტკიცით იჩენდენ და ყოველ წამს მზათ იყვენ თავი დაედოთ რევოლიუციისათვის. მაგრამ 27 ოქტომბერს ცოტა დარჩა მათგან, რომელთაც კიდევ შეეძლოთ ვინტოვკით მტერს გამკლავებოდენ. სწორეთ ისინი შეადგენდენ ჩვენს მთავარ ძალას, რომლის შეოხებითაც ჩვენ დაბოლოს მაინც ვ ძლიეთ მტერს. სალდათების ძალა ამ შემთხვევაში მხოლოთ იმდენი იყო, რომ ის იუნკრებისას უსწორდებოდა. ამასთან იუნკრებს პულემიოტებიც ბევრი ჰქონდათ, რომლებიც თავის დროზე იყო გამართული საჭირო პუნქტებში, საყდრების სამრეკლოებზე და სხვაგან. ბრძოლის დაწყების წუთიდან ისინი ჩვენ პულემიოტებს გვიშენდენ. ჩვენი არტილერია კი სამი ოთხი დღის შემდეგ ძლივს მოეწყო დანიშნულ ადგილას: ის მოქმედებდა. მაგალითათ, ვორობიევის გორაკებიდან, ხოდინკიდან და კუდრინსკის მოედნიდან. ჩვენი არტილერიის ყუმბარებმა დააზიანა ნიკიტის, ტვერის და ამ ქუჩების მიდამოები. ტყუილია ვითომ წმინდა ვასილის ტაძარი დანგრეული იყოს: იგი თითქმის ხელუხლებელი დარჩა, თუ თოფის ტყვიისგან მცირე დაზიანებას მხედველობაში არ მივიღებთ. ზოგ უბნებში ჩაძირალები „პოგრომების“ მოხდენას შეეცადენ, მაგრამ წითელგვარდიელებმა და ჩვენმა სალდათებმა დაუყონებლივ ჩააქრეს.

მეტად გაამხნევა და მწყობრი ხასიათი მიანიჭა ჩვენს რევოლიუციონურ ლაშქარს პეტროგრადიდან დროზე მოსულმა რაზმმა ამხ. მატროსებისამ, რომელნიც თავისი შეგნებით და რევოლიუციონური დისციპლინით თავს იჩენდენ. დიდი დახმარება გაგვიწიეს აგრეთვე ქ. ვლადიმირიდან დახვა ადგ. მოსულმა ამხანაგ სალდათებმა, რომლებიც მოსკოვის მახლობლათ იდგენ და აჯანყების უკანასკნელ დღეებში მოგვეშველნენ.

ორიოდე სიტყვით მოსკოველ ესერების და სხვა მოქმედებასაც შევეხებით.

ვიკჟელი (რკინის გზათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) და ზოგი სხვაც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მებრძოლი მხარეები როგორმე მორიგებია. მგონი მეოთხე დღე იყო, რომ „საზოგადოებას უშიშროების კომიტეტმა“ რუდნევის (ქალაქის თავია) მეთაურობით, როგორც მორიგების პირობა, წამოაყენა მოთხოვნა, რომ საბჭოს მომხრე სალდათებს და წითელ გვარდიელებს იარაღი აეყარათ და სამხედრო-რევოლიუციური კომიტეტი სამართალში მიეცათ.

ესერების გაზეთმა, „ტრუდმა“ ისეთი სისაძაგლე გამოიჩინა იმ დღეებში, რომ მისი მდგომარეობა შავრაზმელ გაზეთ „რუსკოე ზნამიასაც“ კი შეშურდებოდა. ესერების ხსენებული გაზეთი თითქმის ყოველ ნომერში მკითხველთ მოუთხრობდა ცრუ ამბებს სალდათების ვითომდა ლოთობაზე, სიმხეცეზე და სხვა: გაზეთის სიტყვით კერენსკიმ პეტროგრადი რამდენჯერმე აიღო და სხვა და სხვა. ცოტა უკეთ იქერდა თავს მოსკოველი გაზეთი „ვპერიოდ“ მუშები—მენშევიკები და ესერები ჩვენ მხარეზე იდგენ და ჩვენთან ერთათ იბრძოდენ სწორეთ ისეთივე თავდადებით როგორც ჩვენები.

მენშევიკ-ესერების ბელადთა წინააღმდეგ აღშფოთება მუშებში მეტათ დიდია. ამ ბელადებმა დღეს მასის ყოველგვარი თანაგრძნობა დაკარგეს და მათი გავლენა მასაზე გაქრა. და ახლა მთელი მუშათა კლასი და მთელი დემოკრატია სისხლით არის შედუღებულ შეკავშირებული. ჭეშმარიტათ რომ ერთი რევოლიუციონურ დემოკრატიული ფრონტი შექმნა დღევანდელმა აჯანყებამ. რაც უფრო გამოირკვა ორივე მხრისთვის ბრძოლის შედეგები, მით უფრო დაფაცურდენ მაჭანკლები. საქმეში ვინმე მიტროპოლიტიც კი ჩაერია, რომელიც მუხლმოდრეკით ემუდარებოდა სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტს, რომ ძმათა სისხლის ღვრა შეეწყვიტა...

მართლაც მებრძოლთა შორის მალე ხელ შეკრულობაც შედგა. აქ პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ ხელშეკრულობას სალდათები და საერთოთ მდაბიო მებრძოლ ხალხი თანაგრძნობით არ შეხვდა. განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩენ იმ მუხლით, რომლის ძალით იუნკრები და აფიცრები თავისუფლდებოდენ და იარაღსაც მათი წოდების გვარათ ანარჩუნებდენ მათ, (თუმცა, იარაღის ჩამორთმევის დროს იუნკრებსა და აფიცრებს ხელშეკრულების წინააღმდეგ იარაღი აყარეს.) განა ჩვენ რომ დავემარცხებიეთ, ამბობდენ გამარჯვებული ჩვენი ამხანაგები, ჩვენც ისე თავაზიანათ მოგვეპყრობოდენ როგორც ახლა ჩვენ მათ ვეპყრობითო. უმთავრესათ კი მათი უკმაყოფილება ამ დათმობით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმ პოლიტიკით, რომელიც ამ დათმობაში იმალება და რომელიც მენშევიკებთან და ესერებთან შეთ ნხმებას გულისხმობს. ვაჰ არა, თუ ეს პოლიტიკა შემდეგში კიდევ უფრო გამოაშკარავდა და განხორციელების გზას დაადგა. ეს მათი მხრით კიდევ უფრო მეტ აღშფოთებას გამოიწვევს.

მსურს კიდევ რამდენიმე შთაბეჭდილება გაგიზიაროთ, რაც მე ამ დიდებულ დღეებში ბრძოლიდან გამომყვა, როცა დღესაც და ღამესაც მებრძოლ—რევოლიუციონურ სალდათებთან ვატარებდი, მათთან ერთათ ვმოქმედებდი და ვცხოვრობდი.

ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: ზიზღი და მტრობა სალდათებში კონტრ-რევოლიუციონერებისადმი უსაზღვროა. ისინი ჩვენ მოგვყვებიან, დარწმუნებულნი იმაში, რომ, როცა ძალა-უფლება საბჭოების ხელში იქნება, ნამდვილი დემოკრატიული პოლიტიკა სავსებით განხორციელდება და რომ საბჭოთა სიეზდის დეკრეტები ძალაში იქნება მოყვანილი. მაგრამ თუ ამ მხრით რაიმე რყევა და სისუსტე გამოგვაჩნდა პოლიტიკაში და თუ მათ იმედები გაუცრუვეთ და მოლოდინი არ გაუმართლეთ, მაშინ ჩვენ ისეთ კატასტროფის წინაშე წარსდგებით, რასაც ქვეყნიერება არას დროს არ მოსწრებია, მაშინ პუგაჩოვშჩინა, შეუგნებელი გლეხთა აჯანყება გადაჭრის ყველა საჭირბოროტო საკითხებს ჩვენი ცხოვრებისას და გადაჭრის თავისებურათ,

არავითარი რყევა, ამხანაგებო, არავითარი კომპრომისები აწ აამათ დასაშვები არაა.

**ბაბუშკინი.**

### მოსკოვ-ნიჟეგოროდის რკინის გზის სადგურის მუშებისა და მოსამსახურეების განცხადება სახ. კომისართა საბჭოსადმი.

მოსკოვ-ნიჟეგოროდის სადგურის მუშებმა და მოსამსახურეებმა, რიცხვით ათასმა კაცმა მსჯელობა იქონია მიმდინარე მომენტზე და დაადგინა: იმის გამო, რომ ვიკჟელი (რუსეთი რკ. გზ. კავშ. ცენტრ.კომიტეტი) აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკას აწარმოებს, რაც იმ ფაქტიდანაც ცხადია, რომ მან გაფიცვა მასის დაუკითხავათ გამოაცხადა და რომ მისი ბრძანებით რკინის გზებზე სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის ჯარები არ გადაჰყავდათ კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველათ: მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას სრულიათ რუსეთის რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეთა კავშირის სიეზდი, რომელიც ვიკჟელს ხელ ახლათ აირჩევს ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით დავიცავთ ხალხის კომისართა მთავრობას, როგორც პროლეტარიატის ნება-სურვილის ჭეშმარიტ გამომხატველს. ამას გარდა ვთხოვთ ამხანაგ სოციალისტებს, რომლებიც მონაწილეობენ გაზეთებში: „ვპერიოდ“ „ტრუდ“ „ზემლია“ „ვოლია“ „დელო ნაროდა“ „ვოლია ნაროდა“ „სალდატსკი კრიკ“ „რაბოჩაია გაზეტა“ „ისკრი“ და სხვები, რომ ნუ იკისრებენ საბედისწერო პასუხის გებას და დიდ ცოდვას: ნულარ მოუწოდებენ რომ ბოლშევიკებს ძბლით გამოგლიჯონ ხელიდან ძალა უფლება; მათ უნდა უწოდენ, რომ ეს საქმე არა მარტო ბოლშევიკების საქმეა, არამედ მათთან ერთათ მუშების, გლეხების, სალდათების, ე. ი. მთელი ხალხის. ნუ ამრავლებთ ტანჯვასა და ძალმომრეობას, ნუ ღუპავთ სოციალიზმის საქმეს და სახელს ნუ უტეხთ მას ურთიერთშორისო აყალმაყალით. შეადგინეთ ერთი ნამდვილი ფრონტი შერიგებისა მტკიცე რევოლიუციონური სოციალისტური მთავრობის შესადგენათ ნიშნათ ჩვენი პროტესტისა ზემოხსენებულ გაზეთების რედაქციებს ვთხოვთ ნუ გამოუგზავნიან თავიანთ გაზეთებს ჩვენს ბიბლიოთეკას, რომლითაც მოსკოვ ნიჟეგოროდის სადგურის ხელოსნები, მუშები და მოსამსახურეები სარგებლობენ.

თავმჯდომარე მელნიკოვი
მდივნის მაგიერ ჟაკოვსკი.

## პარტიული ცხოვრება.

3 ნოემბერს მოწვეულ იქმნა შუბანის, ონჯიქეთის და ერკეთის შეერთებული, ბალშევიკთა კრება, კრებაზე გამოცხადდა 80-დე პარტიის წევრი; თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ტ. მგალობლიშვილი და მდივნათ ამხ. ვერა ვაშაკიძე. კრების გახსნისას თავმჯდომარე კითხულობს პეტროგრადის ამბების დეპეშებს, რომლის დათავებისას კრება ვაშას და გაუმარჯოს მუშათა გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოებს და მათ მიერ შედგენილ სახალხო კომისარების საბჭოს ძახილით შეეგება. იყო დღევანდელ მომენტზე კამათი. ილაპარაკა ამხ. სილევან კობიძემ, ამხ. გ. მგალობლიშვილმა და სხვებმა: შემდეგ აირჩიეს სარაიონო ცენტრის დელეგატები ამხ. გ. და ტ. მგალობლიშვილები, ს. ჯინჭარაძე და ს. კობაძე, რომელთაც დაავალეს მისალმების დეპეშის პეტროგრადში გაგზავნა.

ძველი ბალშევიკი.

ს. ერკეთი (გურია).

1 ნოემბერს შესდგა ერკეთის, მეუმრავლესეთა, რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის კრება, კრებას დაესწრო—52 წევრი. თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ამხ. გრ. მგალობლიშვილი. დღის წესრიგი:

1. მოხსენება კავკასიის საოლქო ყრილობისა.
2. ლექცია.
3. მომავალი კვირის საზოგადო მიტინგი.
4. არჩევნები დამფუძნებ ლი კრების.
5. საწევრო გადასახადი.
6. დამფუძნებელი კრების ფონდი.
7. პარტიული სასამართლო.
8. მენშევიკების მოქმედება.

1. მოხსენებას აკეთებს კავკ. საოლქო ყრილობისას ამხ. ტიტე მშვიდობაძე, რომელიც გვყავდა დელეგატათ გაგზავნილი. მან გარკვევით გააცნო კრებას ჩვენი პარტიის მოქმედება მთელ რუსეთში და აგრეთვე კავკასიის ყველა კუთხეებში და დღევანდელი მომენტი. ორატორი ტაშის ცემით იქმნა დაჯილდოებული.

2. ლექცია წაიკითხა ამხ. თეოფილე ჩიჩუამ, რომელმაც აღნუსხა კლასთა ბრძოლა და ჩვენი დიდებული მოძღვრის კ. მარქსის სიტყვები. მდაბიოთ და გარკვევით გააცნო მსმენელთ აგრეთვე ბალშევიზმი და მენშევიზმი. უთანხმოება თავიდან, 1903 წლიდან და დღევანდელი მიზეზები, სიტყვის გათავებისას დიდათ კმაყოფილი დარჩენ და მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. შემდეგ, ყველა ნაჩვენები კითხვები იქმნა გარჩეული და მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია

## რუსეთის ქრონიკა.

ჟიტომირი.

იზიასლავის სამაზრო საზოგადო საბჭომ დაადგინა: დაუყოვნებლივ გადაეცეს საბჭოებს ყველა მიწები, რომელნიც კერძო საკუთრებას შეადგენენ.

ფრონტის სიეზდი.

სამხრეთ-დასავლეთის აღმ. კომიტ... დაადგინა: მოიწვიოს ფრონტის სი... 1 დეკემბერს.

ფინლიანდია.

ყველა საბჭოებ: მუშათა, სალდ... გლეხთა და მატროსთა ბალტიის ფ... ტის ცენტრ. კომიტეტთან ერთათ მოთქვამენ თავის ღრმა რწმენას, ... სახელმწიფო ძალა-უფლების კით... გადასჭრის ერთფეროვანი რევოლ... ციონური სოციალისტური მთავრ... ობორონცების ბოიკოტმა არ უნდა ... ჩეროს სოციალისტები დაუყოვნ... საბჭოთა მთავრობის შედგენის საქმ...

მესამე არმიის სიეზდი.

2 ნოემბერს გაიხსნა მესამე არმ... სიეზდი, დაესწრო 450 დელეგატი: ... გადამწყ. ხმით 115 სათათ. ხმით. ... დელ. ფრაქციული შემადგენლობა: ... ბალშევიკი, 110 ესერი, 50 ს. დ. ... ტერნაციონალისტი 20 ესერი—მაქ... მალისტი. დიდი უმეტესობა დელეგ... ბის იზიარებს ბალშევიკურ პოზიც... პეტროგრადის ამბების შემდეგ ს... დათთა მასსამ შესამჩნევათ გადიხ... მარცხნით. პრეზიდიუმში აირჩიეს ... ბალშევიკი, 3 ესერ-მენშევიკებიდან, ... მაქსიმალისტი. სიეზდმა თითქმის ერ... ხმათ მიიღო მისალმება პეტროგრად... გარნიზონისადმი და აღიარა საბჭო... მთავრობა. მრავალ რეზოლიუცი... სიეზდმა გამოუცხადა უნდობლობა ... მიის კომიტეტს, რომელიც დაშორ... მასსას. მოეწყო სამხედრო რევ. კომ... ტეტი ბალშევიკების წარმადგენ... სიეზდზე ორი შეურიგებელი ბანაკ... ბალშევიკების და ობორონცების. დ... შეხლა შემოხლას იწვევს ახალი მთავრ... ბის კონსტრუქციის (მოწყობის) საკით... ჯერ ეს კითხვა არაა გადაწყვეტილი.

მინსკი

26 ოკტომბერს მოვიდა ამბები პე... ტროგრადიდან. ძველი მთავრობ... წარმომადგენლი დაიბნენ. ჯარი ... აღფრთოვანებით მიეგება ბალშევიკურ ... გამარჯვებას პიტერში. ბალშევიკებ... აღმასრულ. კომიტეტმა მუშ. და სალ... დეპუტ. საბჭო ისამ მიიღო ენერგიულ... ზომები, რომ ძალა-უფლება დ უყოვ... ლივ გადასულიყო საბჭოს ხელში: დ... კავა ტელეგრაფი, რკინის გზა, გად... ყენა კომისარიატი და სხ. ქალაქის ს... ჭოს გამოუცხადა აღმ. კომიტეტმა, რ... ამიერიდან მთელი ძალა-უფლება მ. ... ს. საბჭოს ხელშიაო. დღეაასწაულ... სალდათთა მასსა: —მადლობა ღმერთ... კერენსკის კისერში მოსცხეს! რვა ... იჯდა ტახტზე, ფულებს ხვეტდა ... ზავზე კი არ უფიქრია.

დამოკიდებულება ფრონტზე.

მოდის ცნობები, რომ დამოკიდებ... ჩვენი სალდათებისა ფრონტზე განხლ... განსაკუთრებით ძლიერია დამოკიდებ... დასავლეთ სამხრეთ ფრონტზე.

### პასუხათ ს. ბურნათის სოციალ დე... მოკრატიულ ორგანიზაციის რწმუნ... ბულს გიორგი ძნელაძეს.

დიდი სიამოვნებით ვეგებებით თქვ... წინადადებას და მოგყვებით სამედი... ტორო სამართალში, მხოლოთ იმ პირო... ბით, რომ მტყუანმა მხარემ გადაიხად... გაზ. „ბრძოლის“ სასარგებლოთ 15 მ... ნეთი. ჩემი მხრით მედიატორეების ... ნიშვნას ოა ს ქმის წარმოებას ვანდ... ამხ. ვ. ძნელაძეს. და თუ თან ხმა ხარ... აცნობეთ მას. რადგანაც სამედიატორ... სამართალში მიწვევს მხოლოთ მანდ... ორგანიზაცია, ამისათვის მედიატორე... გაარჩევენ მხოლოთ ორგანიზაციის ... წაალმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს.

თქვენი ნაცნობი პატარა ლეხნიკ...

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა